



სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გამომცემი
გამოდის 1957 წლიდან
№ 3 (362) მარტი, 2023 წელი



ემორის უნივერსიტეტსა (ატლანტა, აშშ) და საქართველოს შორის 30-წლიანი ურთიერთობა განსაკუთრებულად აღინიშნა. ეს ურთიერთობა არაერთი მნიშვნელოვანი შედეგით არის აღბეჭდილი სამედიცინო განათლების უახლეს ისტორიაში.

ემორის უნივერსიტეტთან კოლაბორაციით, 2013 წელს დაწყებული პროექტი – დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან პარტნიორობით ხორციელდება...

ემორის უნივერსიტეტსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაძლიერების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის პროფესორ კენ ვოლკერს, რომელიც 30 წლის წინ ეწვია ჩვენს ქვეყანას და ჯანდაცვისა და განათლების განვითარების კუთხით არაერთი მასშტაბური პროექტი განახორციელა.



თსუ-ის საპატიო დოქტორი, პროფესორი ჰელმუტ ჰანი: „დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ კვლავ მომეცა საშუალება ჩამოვსულიყავი საქართველოში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სადაც გასულ წლებთან შედარებით, ძალიან დიდი პროგრესი შევნიშნეთ. აქ მოტივირებული და მომავალზე ორიენტირებული პროფესორა და სტუდენტები არიან. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საერთაშორისო დონის უნივერსიტეტია. ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა პანდემიამ შეაფერხა, მაგრამ ახლა შეგვიძლია კვლავ წარმატებულად და საინტერესოდ ვითანამშრომლოთ“.



თსუ-ის საექთნო საქმის და სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ასამაღლებლად, პერიოდულად, სტაჟირებას გადიან პარტნიორ უცხოურ სამედიცინო უნივერსიტეტებსა და კლინიკებში.
ზორვატიაში, ხუთთვიან სტაჟირებაზე, კერძოდ, – ზადარის უნივერსიტეტში, იმყოფებოდნენ საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული პროგრამის მე-7 სემესტრის სტუდენტები – ეთერ მახარაძე და მარიამ ქოქაშვილი, რომლებიც საკუთარი შთაბეჭდილებების შესახებ გვიამბობენ.

გენერალური მენეჯერის თბილისის სახელმწიფო საუნივერსიტეტო უნივერსიტეტი

14 მარტს თბილისის სახელმწიფო სა-
მედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ: თსსუ-ის
საპატიო დოქტორი, კოხ-მენჩიკოვის ფორუმის
პრეზიდენტი, ბერლინის შარიტეს უნივერსიტე-
ტის მედიცინის ემერიტუსი-პროფესორი, სა-
მედიცინო მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის
ყოფილი ხელმძღვანელი, პროფესორი პელმუტ
ჰანი; კოხ-მენჩიკოვის ფორუმის ვიცე-პრეზიდენ-
ტი, ნორტმეიმის ალბერტ შვეიცერის ჰელიოს
კლინიკის ზოგადი და ვისცერული ქირურგიის
მთავარი ექიმი და ქირურგიის დეპარტამენ-
ტების სამედიცინო დირექტორის მოადგილე,
ჰილდესჰაიმის ჰელიოს კლინიკის მთავარი ექი-
მი, გოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი
აქსელ რიხტერი და ვურნალისტი, ექსპერტი,
დოქტორი ბორგიტ ვუტცელ.



მოგახსენებთ, რომ კვლავ მომეცა საშუალება
ჩამოვსულიყავი საქართველოში, თბილისის
სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სა-
დაც გასულ წლებთან შედარებით, ძალიან დიდი
პროგრესი შევინახეთ. აქ მოტივირებული და
მომავალზე ორიენტირებული პროფესორი და
სტუდენტები არიან. თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი საერთაშორისო
დონის უნივერსიტეტია. ჩვენი ურთიერთთა-
ნამშრომლობა პანდემიამ შეაფერხა, მაგრამ
ახლა შეგვიძლია კვლავ წარმატებულად და
საინტერესოდ ვითანამშრომლოთ. ამასთანავე,
მინდა დიდი პატივისცემით გადმოგიცეთ გერმა-
ნულენოვანი ნიგნი – „სამედიცინო მიკრობიო-
ლოგია და ინფექციოლოგია“, რომლის ერთ-ერთი
ავტორიც ვარ. იმედი მაქვს, თქვენი სტუდენ-
ტებისთვის, რომელთა ნაწილმაც შესანიშნავად
იცის გერმანული, ეს ნიგნი სასარგებლო იქნე-
ბა“.

სტუმრებს შეხვდნენ: თსსუ-ის რექტორი,
პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია; ვიცე-რე-
ქტორები: პროფესორი ხათუნა თოდაძე და
პროფესორი სოფიო ბახტაძე; მედიცინისა და
სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის
დეკანი, ასოცირებული პროფესორი დავით თო-
ფურია; საერთაშორისო ურთიერთობების დე-
პარტამენტის უფროსი, ასისტენტ-პროფესორი
თინათინ კილასონია; უცხოური ენების ცენტრის
დირექტორი ნინო მაჭავარიანი და რექტორის
აპარატის უფროსი ირინა კაპეტიაძე.

თსსუ-ის რექტორის, პროფესორი ზურაბ ვა-
დაჭკორიას, მისასალმებელი სიტყვის შემდეგ,
ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუნა თო-
დაძემ, გერმანულ სტუმრებს ვრცელი პრეზენ-
ტაცია შესთავაზა თბილისის სახელმწიფო სა-
მედიცინო უნივერსიტეტის შესახებ. სტუმრებმა
პრეზენტაცია დიდი ინტერესით მოისმინეს და
თსსუ-ის განვლილი გზა უაღრესად დადებითად
შეაფასეს.

თსსუ-ის საპატიო დოქტორმა, პროფესორ-
მა პელმუტ ჰანმა, აღნიშნა: „დიდ მადლობას

პროფესორმა აქსელ რიხტერმა თსსუ-ის
ისტორია „წარმადების ისტორია“ უწოდა:
„ეს, მართლაც, დიდი წარმატების ისტორიაა.
ჩვენ ვნახეთ გერმანული უნივერსიტეტების
და კლინიკების ჩამონათვალი, რომლებთანაც
თქვენ გაკავშირებთ დიდი მეგობრობა და თა-
ნამშრომლობა, მათ შორის არ იყო ის უნივერ-
სიტეტი, რომელსაც მე წარმოვადგენ. მინდა,
თანამშრომლობის სურვილი გამოვხატო“.

სტუდენტთა წარმომადგენელთა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის ემერიტუსმა, მერაბ დვალ-
მა, წარჩინებული სტუდენტებისა და რეზი-
დენტებისთვის სტიპენდიები დაანერგა. მის
მიერ ინიცირებული სასტიპენდიო პროგრამის
ფარგლებში, თსსუ-ში, გამარჯვებულე-
ბის წარდგენა და დაჯილდოება გაიმართა.
ლონისძიებს პროფესორი ირინე კვაჭაძე
უძღვებოდა.

ოდონტოლოგიის კურსის გავლის შემ-
დეგ, თსსუ-ის სტომატოლოგიის ფაკულტე-
ტის საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქო-
ნი სტუდენტი ნათია კობაძე პროფესორ ლია
ჭელიძის სახელობის სასწავლო სტიპენდიით
დაჯილდოვდა.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ლია ჭელიძე, 70 წელზე მეტი
ხნის განმავლობაში ექიმ-სტომატოლოგთა აღ-
ზრდის რთულ და საპატიო საქმეს ემსახურა;
ქალბატონმა ლიამ თავად გადასცა წარჩინე-

ბულ სტუდენტს ჯილდო და შემდგომი წარმა-
ტებები უსურვა.

ლონისძიებს ესწრებოდნენ ქალბატო-
ნი ლიას აღზრდილები: თსსუ-ის რექტორი,
პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, თსსუ-ის
კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიძე,
თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე,
რომელთაც გულთბილად გაიხსენეს ქალბატო-
ნი ლიას ღვაწლი, პედაგოგიური საქმიანობა
და ფასდაუდებელი ამაგი სტომატოლოგთა
აღზრდის საქმეში.

ლონისძიების ფარგლებში, თსსუ-ის ოფ-
თალმოლოგიის სარეზიდენტი პროგრამის
ხელმძღვანელმა, ემერიტუსმა მერაბ დვალ-
მა, ოფთალმოლოგიის კურსის წარჩინებული
რეზიდენტი საიალი იბრაგიმოვი, მრავალი
თაობის აღმზრდელი, ღვაწლმოსილი პრო-
ფესორის, ტატიანა შატლოვას, სახელობის
სასწავლო გრანტით დააჯილდოვა.

ვიზიტი სოფიატისა და გენერალური

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის
პროფესორ-მასწავლებლები, ERASMUS+-ის
პროგრამის ფარგლებში, სამუშაო ვიზიტით
სლოვაკეთისა და გერმანიის პარტნიორ უნი-
ვერსიტეტებში იმყოფებოდნენ.

სლოვაკეთში, ნიტრას კონსტანტინე ფი-
ლოსოფოსის სახელობის უნივერსიტეტში, პრო-
ფესორმა შალვა ზარნაძემ და ასოცირებულმა
პროფესორმა ირინე ზარნაძემ ნაიკითხეს სალე-
ქციო კურსი კვების მეცნიერების, მოსახლეობის
ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებისა და მარე-
ნებლების შესახებ. ვიზიტისას თსსუ-ის პროფე-
სორები შეხვდნენ ნიტრას უნივერსიტეტის პრო-
ფესორ ალექსანდრე სროტკინს, რომელთან
ერთადაც დაგეგმეს მიმდინარე სასწავლო წელს
განსახორციელებელი ღონისძიებები, მათ შო-
რის, – დოქტორანტების მობილობის საკითხები.

სამუშაო შეხვედრები გაიმართა გერმანია-
ში, ბონის უნივერსიტეტსა და საუნივერსიტე-
ტო კლინიკაში. შეხვედრებში მონაწილეობას
იღებდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის პროფესორები: ლევან ბარამიძე,
შალვა ზარნაძე, ასოცირებული პროფესორები:
დევი ტაბიძე, ზურაბ სხარაულიძე, ირინე ზარ-
ნაძე, მონეული მასწავლებელი – ლია გუმბა-
რიძე.

პროფესორი დიდი ბაჩაშვილი - წარმომადგენელი მხსენიერი ქალი



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გე-
ნერალური ასამბლეის გადწვევით, ყოვე-
ლი წლის 11 თებერვლი გამოცხადდა მეცნიერ
ქალთა დღედ. ნელს ამ მნიშვნელოვანი დღის

აღნიშვნას შეუერთდა თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი.

თსსუ-ში შეიქმნა კომისია, რომელიც ყო-
ველწლიურად შეარჩევს წარმატებულ მეცნიერ
ქალს. კომისიის ერთსულოვანი გადაწყვეტილე-
ბით და შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწი-
ნებით, 2022 წლის წარმატებული მეცნიერი ქა-
ლის ტიტული მოიპოვა თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული
ბოტანიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა,
პროფესორმა დალი ბერაშვილმა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნი-
ვერსიტეტი ულოცავს პროფესორ დალი ბერაშ-
ვილს ამ აღიარებას.

თსსუ-ის დედაბნია პირის უნივერსიტეტი

ERASMUS+-ის გაცვლითი პროგრამის –
KA107 – ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია კილის
უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი) იმყოფებოდა.
დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ვიცე-რე-
ქტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე; ფიზიკური
მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დე-
კანი, პროფესორი ლელა მასხულია; დიპლომირე-
ბული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექ-
ტორი, ასოცირებული პროფესორი ეკა ეკალაძე;
გივი ჟვანას სახელობის პედაგოგიის აკადემიურ-
ი კლინიკის გენერალური დირექტორი, ასოცი-
რებული პროფესორი ლია ძიძიგური; რექტორის
აპარატის უფროსი ირინა კაპეტიაძე; საერთაშო-
რისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფრო-
სი, ასისტენტ-პროფესორი თინათინ კილასონია;
ERASMUS+-ის ინსტიტუციური კოორდინატორი
ნინო კანდელაკი; აკადემიური განვითარების
და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის
ხელმძღვანელის მოადგილე სალომე პრონოვი;
შინაგან დადავებთა პროპედევტიკის დეპარტა-
მენტის ასოცირებული პროფესორი ია ავალიანი
და ფარმაცევტული ბოტანიკის დეპარტამენტის
ასოცირებული პროფესორი სოფიო გოქაძე. კი-
ლის უნივერსიტეტიდან სამუშაო შეხვედრებში
მონაწილეობდნენ: საერთაშორისო პროგრამების
კოორდინატორი, საექთნო და სამედიცინო საქმის
სკოლის პროფესორი ჯუნი კილინი; საექთნო და
სამედიცინო საქმის სკოლის დირექტორი, პროფე-
სორი ჯულია გრინი; საერთაშორისო პროექტე-
ბის ხელმძღვანელი ემა პირსი; ვიცე-კანცლერი
და პროფესორი, პროფესორი მარკ ორმელოდი;
ვიცე-კანცლერი განათლების დარგში, პროფე-
სორი კრისტიან სპელმან მილერი; პროფესორე-
ბი: პაულინ ვოლმი, აივან მაკლენი და სუზან
ჯექსონი; სამედიცინო და საექთნო განათლების,
პაციენტთა უფლებების ასოციაციის ხელმძღვა-
ნელი იდა ბენტლეი; პოსტდოქტორული საექთნო
პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი ვენდი
ვისონი; სადოქტორო პროგრამების ხელმძღვა-
ნელი, პროფესორი ალისონ პულერი; ჰარვარ-
დის უნივერსიტეტის და კილის უნივერსიტეტის
მცენარეთა ეკოლოგიის ემერიტუს-პროფესორი
პიტერ ტომასი; დიპლომირებული საექთნო და
სამედიცინო პროგრამების დირექტორი, პროფესორი
კლერ კორნეს-პარმი; ანატომიის და ტექნიკური
სერვისების მენეჯერი (მედიცინის და ჯანდაც-
ვის მეცნიერებების ფაკულტეტი), პროფესორი
პოლ კლევი; კილის სამედიცინო სკოლის დი-
რექტორი, ჯანდაცვის კვლევების ეროვნული
ინსტიტუტის მთავარი მკვლევარი, პროფესო-
რი ქრისტიან მალენი; გლობალური ჯანდაცვის
და კეთილდღეობის ინსტიტუტის დირექტორის



მოადგილე, პროფესორი ტომ შეფარდი; საექთნო
საქმის პროგრამის ლექტორი სალი ფლიმორი;
საექთნო და სამედიცინო სკოლის პოსტდოქტორული
სწავლების ხელმძღვანელი, პროფესორი ჯეინ
ჯერვისი; კლინიკური ფარმაციის და ბიოინჟინე-
რის ლექტორი რევა ვენაბლესი; პროფესორი
ელისონ კუპერი; კილის პოსტდოქტორული განათ-
ლების ასოციაციის პრეზიდენტი აბდელრამან
რასი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნი-
ვერსიტეტის დელეგაციის შესაძლებლობა ჰქონ-
და დეტალურად გაეცნობა საუნივერსიტეტო
კლინიკებს, კერძოდ კი, გადაუდებელი სამედი-
ცინო დახმარების დეპარტამენტის, ონკოლოგი-
ის ცენტრის, კრიტიკული მედიცინის ცენტრის,
მწვავე ინსულტის ცენტრის, უძღურ მოხუცთა
მდგომარეობის შეფასების დეპარტამენტის მუ-
შაობას.

თსსუ-ის წარმომადგენლების მიერ განხორ-
ციელდა ვიზიტი სიმულაციური სწავლების ცენ-
ტრში, სადაც ისინი გაეცნენ მუშაობის სპეცი-
ფიკს და დაესწრნენ მედიცინის ფაკულტეტის
მიერ კურსის (პრობლემაზე დაფუძნებული
სწავლება) სესიებს.

ვიზიტის ფარგლებში თსსუ-ის დელეგაციის
წევრებმა ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუ-
ნა თოდაძემ, ასოცირებულმა პროფესორმა ეკა
ეკალაძემ, პროფესორმა ლელა მასხულიამ და
ERASMUS+-ის პროგრამების კოორდინატორმა,
ნინო კანდელაკმა, კილის უნივერსიტეტის ადმი-
ნისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის
მოხსენება-პრეზენტაციები წარადგინეს. მოხსენე-
ბებმა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

თსსუ-ის წარმომადგენლებმა ბრიტანელ
კოლეგებთან ერთად განიხილეს ურთიერთთა-
ნამშრომლობის პერსპექტივები. შეხვედრებზე,
ასევე, დაიგეგმა კილის უნივერსიტეტის პროფე-
სორების საპასუხო ვიზიტი თბილისის სახელმწი-
ფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

საუნივერსიტეტო ინსპექციის

თსსუ-ში გაცვლითი პროგრამით, სტაჟირე-
ბის გასაღწევად, ინსპექციის (სესტრია) სამედი-
ცინო უნივერსიტეტის სტუდენტი პაულა ვუნში
იმყოფებოდა.

სტუდენტმა კლინიკური სტაჟირება თსსუ-ის
პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ბაზაზე არ-
სებულ მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტში
გაიარა.

„მოხარული ვარ, რომ სტაჟირების გავლა
თბილისში მიწვევს. თსსუ-ის პირველ საუნივერსი-
ტეტო კლინიკაში მენობა-გინეკოლოგიაში პრაქ-
ტიკულ კურსს გაგიღებ. კლინიკაში ინტერესო
გამოცდილებას ვიღებ, მომწონს პაციენტებთან
ურთიერთობა, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნე-
ლოვანია. გინეკოლოგია ის მიმართულებაა, რო-
მელიც ყველა ექიმმა ძალიან კარგად უნდა იცო-
დეს, ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე, რომ
სტაჟირების გავლა საქართველოში, თსსუ-ის
საუნივერსიტეტო კლინიკაში გადავწყვიტე.“

რეზიდენტთან კომუნიკაცია ძალიან ნა-
ყოფიერია, ვინაიდან ბევრ სასარგებლო ინფორ-
მაციას ვცვლით ერთმანეთში“, – აღნიშნა პაულა
ვუნში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნი-

საერთაშორისო კონფერენცია

თბილისში, საქართველოს ენდოკრინო-
ლოგიისა და მეტაბოლიზმის ასოციაციის ეგი-
დით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია
კლინიკურ ენდოკრინოლოგიაში, რომელშიც
მონაწილეობდნენ უცხოელი და ქართველი ექს-
პერტები, ენდოკრინოლოგები საქართველოდან;
კონფერენციაზე, ამერიკელ, ჰოლანდიელ, ესპა-
ნელ, თურქ ექსპერტებთან ერთად, საინტერესო
მოხსენებებით წარდგინეს თსსუ-ის ენდოკრინო-
ლოგიის დეპარტამენტის პროფესორები, კერ-
ძოდ, თსსუ-ის ემერიტუსმა დავით მეტრეველ-

ვერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტა-
მენტის ასოცირებული პროფესორი, პირველი
საუნივერსიტეტო კლინიკის პერინატოლოგიის
მიმართულების ხელმძღვანელი, პლატონ მაჭა-
ვარიანი, აღნიშნავს, რომ ინსპექციის სამედიცი-
ნო უნივერსიტეტის სტუდენტს აქვს შესაძლე-
ბლობა გაიუმჯობესოს პრაქტიკული მუშაობის
უნარ-ჩვევები და მიიღოს კარგი გამოცდილება.

„პაულა ვუნში ჩვენს კლინიკაში ესწრება
სამედიცინო მანიპულაციებს, ეკონტაქტება პა-
ციენტებს და ვხედავ, რომ ეს პროცესი ძალიან
მოსწონს. პაულა ძალიან დაინტერესებულია ამ
დარგით, აქ გატარებული დრო კი დაეხმარება
პროფესორთან და ჩამოყალიბებაში და, ვიმე-
ლოვნებ, მომავალში მისგან კარგი ექიმი დადგება.
წარმატებულ უსურვებთ მას“, – ამბობს პლატონ
მაჭავარიანი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნი-
ვერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინი-
კაში ინსპექციის უნივერსიტეტის სტუდენტი თს-
სუ-სა და ინსპექციის სამედიცინო უნივერსიტეტს
შორის გაფორმებული ბილატერალური ხელშე-
კრულების ფარგლებში გაცვლითი პროგრამით
იმყოფებოდა.

საქართველო ახალი მიწისპირით დაზარალებულების

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნი-
ვერსიტეტის სტუდენტებთან და კურსდამთა-
ვრებულებთან ურთიერთობისა და კარიერული
განვითარების სამსახურისა და სტუდენტური
თვითმმართველობის ორგანიზებით, თურ-
ქეთში მინისძვრის შედეგად დაზარალებული
ადამიანების დასახმარებლად საქველმოქმედო
აქცია გაიმართა.

თურქეთის საელჩოს მიერ მონოდეტული
განცხადების გათვალისწინებით, სტუდენტე-
ბის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერ-

სონალის აქტიური ჩართულობით, შეგროვდა
ჰუმანიტარული ტვირთი (ჰიგიენური და საყო-
ფაცხოველო მოხმარების საგნები, ტანსაცმე-
ლი, პირველადი მოხმარების მედიკამენტები)
მინისძვრით დაზარალებულთათვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნი-
ვერსიტეტის მიერ განუყოფილ ჰუმანიტარული
დახმარება თურქეთის საელჩოს გადაეცა, რო-
მელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ნივთების
მოსახლეობისთვის მიწოდებას.

ემორის უნივერსიტეტის და საქართველოს 30-წლიანი თანამშრომლობისადმი მიძღვნილი კვირეული

6 მარტს ემორის უნივერსიტეტსა (ატლანტა, აშშ) და საქართველოს შორის 30-წლიანი ურთიერთობის აღსანიშნავი კვირეულის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია ემორის უნივერსიტეტის დელეგაცია: ემორის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი გლობალური სტრატეგიისა და ინიციატივების დარგში, პროფესორი ფილიპ ვეინერაითი, ემორის უნივერსიტეტის გლობალური სტრატეგიისა და ინიციატივების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ნატალი კრუზი; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის სამედიცინო განათლებისა და სტუდენტურ საქმეთა დეკანის მოადგილე, მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის პროფესორი გორდონ ჩერჩორდი; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პედაგოგიისა და სამედიცინო ონკოლოგიის პროფესორი მერი ჯო ლეკოვიჩი; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ემერიტუსი, პროფესორი ჯოელ ფლენერი; ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ემერიტუსი, პროფესორი ნათანელ გოზანსკი; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ალექსანდერ ისაკოვი; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის გადაუდებელი მედიცინის პროფესორი ბრაიან მაქნალი; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პათოლოგიისა და ლაბორატორიული მედიცინის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი გაბრიელა ოპრეა; ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის პროფესორი დუგლას ანდერი და ატლანტის მორპაუსის მედიცინის სკოლის ხელმძღვანელის მოადგილე, გრეიდის ჰოსპიტლის კრიტიკული მედიცინისა და ფილტვის დიაგნოსტიკური და ინტენსივური სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ერიკ ფლანო.

სტუმრებს შეხვდნენ: თსუ-ის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე; ვიცე-რექტორები: პროფესორი ხათუნა თოდაძე და პროფესორი სოფიო ბახტაძე; თსუ-ის პროფესორი, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი არჩილ უნდილაშვილი; დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი ეკა ეკაძე, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასისტენტ-პროფესორი თინათინ კილასონია და რექტორის აპარატის უფროსი ირინა კაპეტივაძე.

ემორის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიესალმა პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე, რომელმაც ისაუბრა ემორის უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ. ვიცე-რექტორმა, პროფესორმა ხათუნა თოდაძემ სტუმრებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა.

ემორის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა ფილიპ ვეინერაითმა, მადლობა გადაუხადა თსუ-ის წარმომადგენლებს მასპინძლობისთვის, აღნიშნა, რომ ემორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პოზიტიური შედეგს თვალსაჩინო ხედავს და იმედი გამოთქვა, რომ ეს ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო განვითარდება. ემორის უნივერსიტეტი საქართველოში, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტების (NIH) და სხვა ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით, პროექტებს განათლებისა და მედიცინის მიმართულებით 1992 წლიდან ახორციელებს. მათ შორისაა, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც 2013 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხორციელდება. ის დღეისთვის საქართველოში ყველაზე მოთხოვნად სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამას წარმოადგენს, რომელსაც საფუძვლად უდევს ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის სასწავლო კურიკულუმში, ადაპტირებული ქართული და საერთაშორისო საგანმანათლებლო კანონმდებლობისა და მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს ემორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, მართლაც, არაერთი მნიშვნელოვანი შედეგით არის აღბეჭდილი სამედიცინო განათლების უახლეს ისტორიაში:

- თსუ-ის სტუდენტებს, აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალსა და მოწვეულ მასწავლებლებს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვთ ემორის უნივერსიტეტის მხრიდან: 40-მდე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე, 300-მდე სტუდენტის ვიზიტი განხორციელდა ემორის უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ კლინიკურ ეტაპზე ემორის უნივერსიტეტის მიერ, თსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებისთვის, შემუშავებულია სპეციალური პროგრამა ყველა იმ თავისებურების გათვალისწინებით, რაც თსუ-ის კურიკულუმისა და სამედიცინო სივრცისთვის არის დამახასიათებელი.
- ემორის უნივერსიტეტის ინიციატივით საქართველოში დაარსდა არჩილ და სერგო კობალაძეების სახელობის სამედიცინო პერსონალის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ცენტრი, რომელიც ექიმებს, ექთნებსა და ექთნის დამხმარეებს, სხვადასხვა სამედიცინო და საექთნო საგანმანათლებლო პროგრამის შეთავაზებით, უწყვეტი

პროფესიული განვითარების შესაძლებლობას სთავაზობს.

- 2017-2022 წლებში USAID-ის მიერ დაფინანსებული ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პარტნიორული თანამშრომლობით, განვითარდა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა; კურიკულუმს დაემატა ახალი სასწავლო კურსები, გაძლიერდა სტუდენტურ ორიენტირებული სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, მათ შორის, დაინერგა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება (PBL) და განხორციელდა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) პილოტირება პროგრამაში მისი მიმდევრო დაწესების მიზნით; პროგრამის სასწავლო კურსებში განვითარდა კლინიკური პრაქტიკის კომპონენტი. განხორციელდა სასწავლო ტური ემორის უნივერსიტეტში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულმა პროფესორ-მასწავლებლებმა, ხოლო ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ფიზიკური რეაბილიტაციის პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა განხორციელა კლინიკური ტრენინგები თსუ-ში.
- ამავე პროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება ჩაითვალოს სარეაბილიტაციო კლინიკები: კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა თბილისში და მისი ფილიალი ბათუმში, ასევე, რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრი – „თანაზიარი“ ზუგდიდში. აღსანიშნავია, რომ კენ ვოლკერის სახელობის სამედიცინო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკაში განთავსებულია თსუ-ის სარეაბილიტაციო მიმართულების ყველა სტრუქტურული ერთეული, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტი.
- ამასთან, ემორის უნივერსიტეტის ხელშეწყობით, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე, 2021 წელს, საფუძველი ჩაეყარა „ბავშვთა ადრეული განვითარების აკადემიის“ შექმნას. აკადემიის მიზანია, 2-14 წლამდე ასაკის განვითარების სხვადასხვა ტიპის დარღვევის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება და სრულყოფა, რაც მათ სოციალურ გარემოში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებასა და ინტეგრაციაში დაეხმარება.
- 2017 წლიდან ემორის უნივერსიტეტის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების მხარდასაჭერად, მხოლოდ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ 4,5 მილიონ აშშ დოლარზე მეტი გამოიყო. იმავე დღეს, 2023 წლის 6 მარტს, სასტუმრო „ბილტ-მორში“, გაიმართა ემორის უნივერსიტეტსა და საქართველოს შორის 30-წლიანი თანამშრომლობის აღსანიშნავი საზეიმო ცერემონია. ღონისძიება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის, კორპორაცია – „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის“ და კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართა.

ღონისძიებაზე შეაჯამეს 1992 წლიდან დღემდე ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში განხორციელებული ერთობლივი პროექტები. საიუბილეო ცერემონიას ესწრებოდნენ: ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, მისი აღმატებულება, ქალბატონი კელი დეგნანი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ქალბატონი ნუნუ მიცკევიჩი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ქალბატონი თამარ გაბუნია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ბატონი ლაშა დარსალია, საქართველოს პარლამენტის წევრი, ბატონი ანტონ ობოლაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ბატონი დავით ლომინაშვილი, საპატიო სტუმრები ემორის უნივერსიტეტიდან, ატლანტის მორპაუსის მედიცინის სკოლიდან და გრეიდის ჰოსპიტალიდან, აშშ-ის ვოლტერ რიდის არმიის კვლევითი ინსტიტუტიდან, ორგანიზაციიდან – „აშშ-ის არმიის სამედიცინო კვლევითი დირექტორატი საქართველოში“.

საქართველოსა და ემორის უნივერსიტეტის 30-წლიანი თანამშრომლობისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ბატონმა მიხეილ ჩხენკელმა ხაზოვით აღნიშნა. მისასალმებელ სიტყვაში მან ვაზი გაუსვა თბილისის სახელმწიფო



სამედიცინო უნივერსიტეტის წვლილს ემორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის საქმეში: „აღსანიშნავია ემორის უნივერსიტეტთან კოლაბორაციით, 2013 წელს დაწყებული პროექტი – დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა, რომელიც 2013 წლიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან პარტნიორობით ხორციელდება... ემორის უნივერსიტეტსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაძლიერების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის პროფესორ კენ ვოლკერს, რომელიც 30 წლის წინ ეწვია ჩვენს ქვეყანას და ჯანდაცვისა და განათლების განვითარების კუთხით არაერთი მასშტაბური პროექტი განხორციელა“.

7 მარტს ემორის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი გლობალური სტრატეგიისა და ინიციატივების დარგში, პროფესორი ფილიპ ვეინერაითი, ემორის უნივერსიტეტის გლობალური სტრატეგიისა და ინიციატივების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ნატალი კრუზი, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის სამედიცინო განათლებისა და სტუდენტურ საქმეთა დეკანის მოადგილე, მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის პროფესორი გორდონ ჩერჩორდი, თსუ-ის ვიცე-რექტორი, პროფესორი ხათუნა თოდაძე და თსუ-ის პროფესორი, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი არჩილ უნდილაშვილი შეხვდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ნუნუ მიცკევიჩს. შეხვედრაზე განიხილეს მომავალი ურთიერთთანამშრომლობის საკითხები ემორის უნივერსიტეტსა და საქართველოს შორის.

საიუბილეო კვირეული დატვირთული იყო როგორც აკადემიური თვალსაზრისით (სტუმრებმა სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის სამუშაო შეხვედრები, ლექციები და ტრენინგები ჩაატარეს), ასევე, კულტურული ღონისძიებებითაც. დატვირთული საზეიმო შეხვედრების დასასრულს თსუ-ის თეატრალურ დარბაზში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სიმღერის და ცეკვის სახალხო ანსამბლის კონცერტი გაიმართა. კონცერტს ემორის უნივერსიტეტის დელეგაციის წევრები ესწრებოდნენ და მიღებული შთაბეჭდილებები სტუმრებისთვის უალრესად პოზიტიური და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა.



საერთაშორისო სტუდენტების თვლით..

შვიან შივეკ ნანდი, ფიჯის კუნძულები, მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის მე-12 სემესტრის სტუდენტი:

– შვიან, რამ გადაგანყვეტინა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება?

– ჩემმა უფროსმა მეგობარმა მიაბო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შესახებ, დაამინტერესა სწავლის მიმართულებებმა, გარემომ, სტუდენტურმა ცხოვრებამ და გადავწყვიტე უმაღლესი სამედიცინო განათლება თსსუ-ში მიმეღო. გადამწყვეტილების სისწორეში მალევე დავრწმუნდი, რადგან აქ ყველა პირობაა სრულფასოვანი განათლების მისაღებად: შესანიშნავი გარემო, საგანმანათლებლო, კულტურული თუ სპორტული ღონისძიებები, საინტერესო სტუდენტური აქტივობები კარგ საშუალებებია განვითარებისთვის.

– რა არის ყველაზე დიდი გამოწვევა შენთვის, როგორც საერთაშორისო სტუდენტისთვის?

– ვფიქრობ, ყველაზე რთული ჩემთვის, სხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენლისთვის, ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციისას ენობრივი ბარიერი გახლდათ.



ადეშა კეშან ალანკარაგე, შრი-ლანკა, მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის მე-12 სემესტრის სტუდენტი:

– ყველაზე მეტად რითი ხარ უნივერსიტეტის მადლიერი?

– ყველაფრით, რაც თსსუ-სთან მკავშირებს: პედაგოგებით, ახალშექმნილი მეგობრებით და ადამიანური ურთიერთობებით; კიდევ – დაუფინყარი ექსკურსიებით და ლაშქრობებით, რომელმაც საქართველოს ისტორიის და სილამაზის გაცნობის შესაძლებლობა მომცა.

– შენი აზრით, თსსუ-ის საერთაშორისო სტუდენტის სტატუსი არის თუ არა კარგი გამოცდილება?

– ერთმნიშვნელოვნად ასეა. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ლექტორი მეხმარებოდა მოტივაციის შენარჩუნებაში.

– სწავლის დასრულების შემდეგ, როცა სამშობლოში დაბრუნდები, თსსუ-ის და სტუდენტური ცხოვრების

გახსენებისას, ყველაზე მეტად რა მოგენატრება?

– მეგობრები, რომლებიც საქართველოში შევიდინე და, რა თქმა უნდა, ის სტუდენტური ცხოვრება, რომელიც უნივერსიტეტში სწავლის ნ წლის განმავლობაში მქონდა.

ვაიდეჰი რაჯუ პარეხი, ტანზანია, მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის მე-12 სემესტრის სტუდენტი:

– ვაიდეჰი, თსსუ-ში სწავლისას შენს ყველაზე დიდ მიღწევად რას მიიჩნევ?

– ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, ასეთ პრესტიჟულ და მაღალრეიტინგულ

უნივერსიტეტში სწავლა. ლექცია და პრაქტიკული მეცადინეობები მიმდინარეობს მაღალკვალიფიციური პედაგოგების ხელმძღვანელობით, რომელთა მცდელობა მიმართულია იქითკენ, რომ სტუდენტმა სრულფასოვანი ცოდნა მიიღოს, რაც ექიმის საპასუხისმგებლო პროფესიისთვის აუცილებელი და გადამწყვეტია. ჩემთვის, ასევე, მნიშვნელოვანი იყო კონფერენციებში მონაწილეობა და გამარჯვება; აქტიურმა სტუდენტურმა ცხოვრებამ სცენის შიშიც დამაძლევინა, რაც ჩემთვის ერთ-ერთი გამოწვევა იყო.

– რითი მოგაგონებს საქართველო შენს სამშობლოს?

– ყველაზე მეტად მშობლურ მინაწყალს ქართული სამზარეულო მახსენებს, რომელიც ძალიან მომწონს.

კარტიქ ვენკატრამანი, ინდოეთი, მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის მე-12 სემესტრის სტუდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი საერთაშორისო მიმართულებით:



– პირველ რიგში, მაინტერესებს, როგორ გადამწყვეტია, რომ სამედიცინო განათლება სწორედ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიგელო?

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარება და საქართველოში მედიცინის შესწავლა მამაჩემის მეგობრის რჩევით გადავწყვიტე, რომლის შვილიც ამ უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. ყველაზე დიდი როლი კი მანც მამაჩემმა ითამაშა, რომელსაც სურდა, სწავლა საქართველოში გამეგრძელებინა, განსაკუთრებით კი – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში.

– რა მოგონს ყველაზე მეტად თსსუ-ის სტუდენტურ ცხოვრებაში?

– ჩემთვის, სტუდენტური ცხოვრების საუკეთესო ნაწილი ის მოგონებები, გამოცდილება და განათლებაა, რომელსაც თსსუ-ში ვიღებთ. თითოეული ღონისძიება, მართლაც – დასამახსოვრებელი. ნ წელია, რაც თსსუ-ის სტუდენტი ვარ და ყველა ღონისძიებაში აქტიურად ვარ ჩართული.

– საინტერესოა, რა ემოცია დაგეუფლება 10 წლის შემდეგ სტუდენტური წლების გახსენებისას?

– ვფიქრობ, პირველი ემოცია სიმშვიდე და ბედნიერება იქნება. აქ გატარებული თითოეული დღით ბევრი ვისწავლე, თითოეული წამი ბოლომდე გამოვიყენე და ბოლომდე ვიცხოვრე, როგორც თსსუ-ის სტუდენტმა.

სწიფი უკეთესი მომავლის შექმნისა

თანამედროვე საექთნო განათლება სრულყოფილი სამედიცინო მომსახურების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საექთნო საქმის და სამედიცინო საქმის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულთა მაღალ კომპეტენტურობაზე მეტყველებს სადღეისოდ ჯანდაცვის სისტემაში მათი დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

თსსუ-ის საექთნო საქმის და სამედიცინო საქმის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ასამაღლებლად, პერიოდულად ხორციელდება სტაჟირება პარტნიორ უცხოურ სამედიცინო უნივერსიტეტებსა და კლინიკებში.

სწორედ ამ მიზნით, გასული წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის თებერვლის ჩათვლით, ხორვატიაში, ხუთთვიან სტაჟირებაზე, კერძოდ, – ზადარის უნივერსიტეტში, იმყოფებოდნენ საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული პროგრამის მე-7 სემესტრის სტუდენტები – ეთერ მახარაძე და მარიამ ქოქაშვილი.

როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, ხორვატიაში ისინი საექთნო განათლების სტრუქტურას გაეცნენ – ესწრებოდნენ სალექციო და პრაქტიკულ კურსებს, ეზიარებოდნენ პროფესორ-მასწავლებელთა გამოცდილებას, რამაც ხელი შეუწყო მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლებას; ისინი, ასევე, გაეცნენ და კონტაქტები დაამყარეს ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტებთან.

... რამდენიმე კითხვა დაფუსვით, სიამოვნებით გვიპასუხეს, საინტერესოდაც ისაუბრეს უცხოურ კლინიკებსა და სამედიცინო ცენტრებში სტუდენტთა სტაჟირების გავლის აუცილებლობაზე ცოდნის მიღებისა და განმტკიცების თვალსაზრისით.

– მარიამ და ეთერ, რითი დაგამახსოვრდათ ზადარის უნივერსიტეტი; რა მოგეწონათ იქაურ სწავლებაში?

– პირველ რიგში, მაღლობას გიხდით ამ საკითხით დაინტერესებისთვის.

იქაურ სწავლებაში ყველაზე მეტად, რაც მოგეწონა, იყო სამედიცინო პერსონალის დამოკიდებულება ჩვენ მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ხორვატია არც ისე დიდი ხანია ევროკავშირის სივრცეშია, სამედიცინო საზოგადოებას მკაფიოდ აქვს გააზრებული ექთნის როლი და ადგილი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში. პროფესორები მაქსიმალურად ცდილობდნენ, ჩვენთვის, როგორც ექთნებისთვის, აუცილებელ სპეციფიკურ საკითხებზე გამემახვილებიათ ყურადღება.

გარდა ამისა, იქაურ სწავლებაში არსებული პრაქტიკული კურსების მეშვეობით, შესაძლებლობა მოგვეცა, დავსწრებოდით სხვადასხვა სახის ქირურგიულ ოპერაციას და ნაბიჯ-ნაბიჯ მივყოლოდით პროცესებს.

თვითონ უნივერსიტეტის ად-



გილმდებარეობა იყო საოცარი – სარკმელებიდან ულამაზესი ზღვის ხედი იშლებოდა, რაც მეტად სასიამოვნო იყო, თუმცა, გამორჩეული ადგილი ჩვენთვის მაინც ბიბლიოთეკა აღმოჩნდა და უმეტეს დროს იქ ვატარებდით;

– საინტერესოა, მოგეცათ თუ არა რაიმე სტიმული იქ ყოფნის შემდეგ?

– ხუთი თვე საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ ახალ მიზნებზე იფიქრო; შესაბამისად, იქ ყოფნის პერიოდში ვნახეთ, რომ მეტის გაკეთება შეგვიძლია. განსაკუთრებით ნამახალისებელი იყო ჩვენს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარება. სწორედ ამ ურთიერთობებმა დაგვანახა, რომ შესაძლებლობები ამოუნურავია და წინ ბევრი გამარჯვებაა, რაც შექმნის უკეთეს მომავალს, როგორც პროფესიულ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტში.

– სამომავლოდ რას აპირებთ, სად ირჩევდით სწავლის გაგრძელებას, უცხოეთში სწავლის საშუალება თუ მოგეცემა?

– სამომავლოდ, დასრულების შემდეგ, ვგეგმავთ მაგისტრატურის გავლას და შესაძლებლობის ფარგლებში – დოქტორანტურისაც, ვინაიდან ჩვენი პროგრამა ქართულ-ავსტრიულია, ვფიქრობთ, სწავლის გაგრძელებისთვის გერმანიასა და ავსტრიაში საკმაოდ მყარი საფუძველი იქნება.

– რა მიმართულებით გაიარეთ სემესტრი, ჩვენთან თუ ისწავლება მსგავსი საგნები?

– კურსი რამდენიმე საგნისგან შედგებოდა და ყველა მათგანი ორიენტირებული იყო, უშუალოდ, ექთნის მოვალეობაზე. ესენია: ქირურგია, ტრავმატოლოგია და ორთოპედია; ანესთეზიოლოგია, რენიმატოლოგია და ინტენსიური მოვლა; დიეტოლოგია; პრაქტიკოსი ექთანი პირველად ჯანდაცვის სფეროში – პრაქტიკოსი ექთნის როლი ყველაზე გავრცელებული არაგადამდები დაავადებების პრევენციასა და მონიტორინგში.

– რამდენად მნიშვნელოვანად თვლით თქვენს ჩართულობას ამ პროგრამაში?

– ჩვენი ჩართულობა ამ პროექტში იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რისთვისაც მაღლობას ვუხდით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, Erasmus + -ის ინსტიტუციურ კოორდინატორს, ქალბატონ ნინო კანდელაკს.

– ხორვატიის ლირსშესანიშნაობებსაც ნახავდით. როგორც ვიცით, ულამაზესი ქვეყანაა ადრიატიკის ზღვასთან.

– ნამდვილად ულამაზესი ქვეყანაა, რომელმაც ძალიან მალე შეგვაცაგარა თავი, როგორც ბუნებით, ასევე კულტურითა და ხალხით.

ესაუბრა დარეჯან კომლაძე



ღონაზია სიხოსხლის გადასარჩენად



სისხლის თითოეული წვეთი მნიშვნელოვანია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და სტუდენტური თვითმმართველობა ყოველ წელს აქტიურადაა ჩართული ამ მნიშვნელოვან აქციაში. წელსაც მ.პ.ს. „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების

საუნივერსიტეტო კლინიკაში“ 24 მარტს, სისხლის ღონაციაში, აქტიური მონაწილეობა მიიღეს თსსუ-ის ქართველმა და საერთაშორისო სტუდენტებმა.

„გაიღე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე!“ – ამ კეთილშობილური სლოგანით გაერთიანებულ ადამიანთა სისხლის წვეთიდან დაგროვილ სისხლს მრავალი სიცოცხლის გადასარჩენა შეუძლია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაშინ, როდესაც მას უანგარობა ერთვის.

გვარდი მოამზადა მედიცინის ფაკულტეტის VIII სემესტრის სტუდენტმა, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელმა, E.M.S.A-თბილისის პრაზიციანტმა, ეკატერინა შუბინიძემ.

სტუდენტური საზოგადოებრივ-კვლევითი ორგანიზაცია „ენდევირი“ – დაარსებულა და მუშაობს

სტუდენტური სამედიცინო-კვლევითი ორგანიზაცია „ენდევირი“ დაარსებულია ნელინაძე მეტი გავიდა. ჩემთვის, როგორც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებლისთვის, საამაყოა, რომ ამ ხნის მანძილზე უამრავი ღონისძიების წარმატებით განხორციელება შეძელი.

„დაახლოებით ერთი წელია, რაც სამედიცინო-კვლევითი კლუბი „ენდევირი“ ჩამოყალიბდა და მისმა წევრებმა უკვე განახორციელეს უამრავი სამედიცინო და მედიცინით დაკავშირებული ღონისძიება, რომლებშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი არა მარტო თსუ-ის, არამედ კვლევით დაინტერესებული საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები. ნამდვილად აღნიშვნის ღირსი და საამაყო კლუბის ბირდის წევრების მალაღობრივი, პასუხისმგებლობა და სწრაფვა საუკეთესო, ეფექტიანი სამედიცინო-კვლევითი საქმიანობისადმი“, – აღნიშნავს ასოცირებული პროფესორი ლიზა გაბუნია.

კლუბის აქტივობები დაინიშნა ტრენინგ-კურსით – „სამედიცინო-კვლევითი პროექტი, კვლევის შედეგების დისემინაცია, ეთიკის საკითხები კვლევაში, პლაგიატის აღიარება და პასუხისმგებლობა გზები და ინფორმაციული ტექნოლოგიები მედიცინაში“. იგი ჩატარდა 2-ჯერ, როგორც ქართულენოვანი, ასევე, საერთაშორისო სტუდენტებისათვის.

2022 წლის მისში გაიმართა სამედიცინო ვიქტორინა: „რა? – სად? როდის?“, საინტერესო და დაძაბული ასპარეზობის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი – „ანტივირი“.

„ენდევირი“ ორგანიზებით 2022 წლის გაზაფხულზე დაიწყო საჯარო ლექციათა კურსი, რომლის ფარგლებშიც უკვე 12 ლექცია ჩატარდა და დღემდე გრძელდება. ლექციებს ესწრებოდნენ თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები, მოწვეული სტუმრები და სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები.

„საჯარო ლექციის ფორმატი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ექსტრაკურსული პროფესიონალური პროფესიონალისთვის, ისე (რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) – სტუდენტებისთვის. ტრადიციული აკადემიური ფორმატი, შესაძლოა, ყოველთვის არ აღმოჩნდეს საკმარისი ყველა საკითხის განხილვის, ყველა შეკითხვის გაუფრთხილებს და პასუხის ანალიზისთვის, ამისთვის ნებისმიერი პლატფორმის გამოყენება მისასაღებელია, მათ შორის – საჯარო ლექციების. ამ კონტექსტში, უდავოდ, მისასაღებელია „ენდევირის“ – თსუ-ის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის სამედიცინო კლუბის – მიერ ინიცირებული აქტივობა, რომლის ფარგლებშიც თსუ-ის პროფესორის, მკვლევარებისა და ექიმების მიერ თსუ-ში ჩატარდა საჯარო ლექციების ციკლი. კლუბის წევრები საინტერესო, აქტიური, კრეატიული, ცნობისმოყვარე და ცოდნის მოყვარული ახალგაზრდები ბრძან-

დებიან. მათ მიერ არჩეული გზა და ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები იძლევა იმ რწმენის საფუძველს, რომ ისინი სამაგალითო მოქალაქეებად და სანდო პროფესიონალებად ჩამოყალიბდებიან. ჩვენ, მათი მასწავლებლები კი, მუდამ მათ გვერდით ვიქნებით – გამოცდილებით, რჩევით და საუკეთესო სურვილებით.“ – აღნიშნავს პროფესორი ირინე კვაჭაძე.

„ენდევირის“ თანაორგანიზებით, 2022 წლის აპრილ-მაისში, გაიმართა სამედიცინო ქირურგიული პრაქტიკუმი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ, გაეღრმავებინათ ცოდნა ქირურგიული ინსტრუმენტების, მანიპულაციისა და ტექნიკის, ასევე, ლაბორატორიულ ცხოველებზე წარმოებული კვლევების შესახებ. პრაქტიკუმს უძღვეოდნენ პროფესორი ლიზა კვაჭაძე, ასოცირებული პროფესორი ლილია ჯანდიერი და ასოცირებული პროფესორი ქეთევან ლაბაშიძე.

2022 წლის ივნისში სტუდენტებისთვის ჩატარდა სამედიცინო ესეების კონკურსი შემდეგ თემებზე: „მედიკამენტთა გადაჭარბებული, არარაციონალური გამოყენება, ანუ პოლიპრეგმაცია“ და „გლობალური დათბობა, კლიმატის ცვლილებები და მოსალოდნელი დაავადებების რისკების შეფასება“. 2022 წლის ივნისში კი, სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე, ჩატარდა სტუდენტური კონფერენცია.

2022 წლის 9-11 დეკემბერს ჰიბრიდულ ფორმატში გაიმართა საერთაშორისო მულტიდისციპლინური სკოლა-კონფერენცია მედიცინისა და ჯანდაცვის მეცნიერებებში – ISCMH-2022. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური კვლევების ინსტიტუტი (IKSAD, თურქეთი), მსოფლიო ჯანდაცვის ინსტიტუტი (დიდი ბრიტანეთი), თსუ-ის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრი, თსუ-ის სტუდენტური სამედიცინო-კვლევითი ორგანიზაცია „ენდევირი“, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ასოციაცია და ბიოსამედიცინო კვლევების განვითარების ასოციაცია. პლენარულ სესიაზე აუდიტორიას მიმართა თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭორიამ, IKSAD-ის პრეზიდენტმა, მუსტაფა ლათიფ ემეკმა, თსუ-ის სამედიცინო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა ლიზა გაბუნია, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტმა, მერაბ თავაძემ და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, ლადო გაბუნია. აღნიშნულ სესიაზე სამასოვრო საჩუქრები გაცვალეს თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭორიამ, IKSAD-ის პრეზიდენტმა, მუსტაფა ლათიფ ემეკმა.

პლენარულ სესიაზე მოხსენებებით წარსდგნენ პროფესორი ლევან რატიანი, თემის სახელწოდებით – „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის

მიღწევები კოვიდ-19-ის ინფექციის მართვაში“ და პროფესორი მარინა მამალაძე – „თანამედროვე რესტავრაციული სტომატოლოგიისა და ენდოდონტიის მიღწევები და გამოწვევები“.

კონფერენციის ფარგლებში გაიმართა 3 სექცია, მათ შორის 3 – სტუდენტური. უიური გამოავლინა გამარჯვებულები, რომლებიც დაჯილდოვდნენ სამასოვრო სიმბოლური საჩუქრებით, ასევე, მადლობის სიგელები გადაეცათ თსუ-ის პროფესორებსა და სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლებს. კონფერენციის საზეიმო დახურვის ღონისძიებაზე გაიმართა კონცერტი თსუ-ის კულტურის ცენტრის შემოქმედებით ჯგუფების მონაწილეობით.

2023 წლის იანვარ-თებერვალში გაიმართა 3-ეტაპიანი თეორიული და პრაქტიკული კურსი ლაბორატორიულ ცხოველებზე ბიოსამედიცინო კვლევების წარმოების საკითხების შესახებ. მონაწილეები გაეცნენ და დაუფლნენ ექსპერიმენტების ჩატარებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მანიპულაციებს. დასკვნითი ეტაპის მონაწილეებმა დამოუკიდებლად იმუშავეს ლაბორატორიულ ცხოველებზე.

ახალგაზრდა მედიკოსთა ასოციაციის ორგანიზებით, 18-20 თებერვალს, ბაკურიანში გაიმართა კულტურულ-შემეცნიებითი ხასიათის გასულითა ღონისძიება – „ახალგაზრდა მედიკოსთა ასამბლეა 2023“, რომლის თანაორგანიზატორი აკადემიკოსი ნანილა გახლდათ „ენდევირი“.

აღსანიშნავია, რომ ამ ერთი წლის მანძილზე „ენდევირის“ წევრებმა აქტიურად მიიღეს მონაწილეობა 25-მდე საერთაშორისო კონფერენციასა და სიმპოზიუმში, სადაც გააკეთეს მოხსენებები საკუთარ ნაშრომებზე. კერძოდ, აღსანიშნავია სამარცანდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული 75-ე და 76-ე კონფერენციები: „თანამედროვე მედიცინა და ფარმაცია – ახალი მიდგომები და აქტუალური კვლევები“. 2021 წელს პლენარულ სესიაზე გავაკეთე მოხსენება და გახლდათ უიურის წევრიც (გავედი მე-2 საპრიზო ადგილზე, ხოლო 2022 წელს – მე-3 ადგილზე, რის საფუძველზეც აღნიშნული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჟასურ რიზაევამ, მადლობის წერილი გამოგზავნა თსუ-ის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭორიას).

XIV საერთაშორისო კონფერენციაში – „ჯანმრთელობა და ეკოლოგია“, რომლის სტუდენტურ სექციასაც ვხელმძღვანელობდი, მონაწილეობა მიიღო „ენდევირის“ 10-მდე წევრმა.

როგორც სტუდენტური სამედიცინო-კვლევითი ორგანიზაცია „ენდევირის“ უკვე ყოფილი თავმჯდომარე, მადლობას ვუხედი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს, „ენდევირის“ ამ ძალზე საინტერესო საქმიანობაში მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

გივი პორაძე,
თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი,
სტუდენტური სამედიცინო-კვლევითი ორგანიზაცია „ენდევირის“ თავმჯდომარე 2021-2023 წლებში



ლიზა ზაზაძის გამოსათხოვარი



40 დღე მილია რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ყოფილი უფროსი, ქალბატონი ლიზა ზაზაძე ზეციურ საქართველოში დაემკვიდრა.

ქალბატონი ლიზა 2007-დან 2021 წლამდე ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ხოლო 2021 წლიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით, თსუ-ის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე მუშაობდა. თსუ-ში მოსვლამდე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გახლდათ. ქალბატონი ლიზა არაჩვეულებრივი პიროვნული თვისებებით იყო შემკული. მისი ყურადღებითა და გულსხმიერებით, თანაგრძნო-

ბისა და თანადგომის უზადო უნარი, მართლაც, განებებულები იყვნენ მისი თანამშრომლები.

ქალბატონი ლიზა საქმის ბრწყინვალე სპეციალისტი, ლიმილიანი, კაცთმოყვარე, სამედიცინო არასდროს ამბობდა და უარს თავისი გამოცდილება გაე-

ზიარებინა კოლეგებისთვის, ადამიანებისთვის კი – გულის სითბო და ყურადღება ენილდა. ერთდროულად და თავმდაბლობა ქალბატონი ლიზას ყოველი ქცევის წარმართველი გახლდათ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს კიდევ ერთი პროფესიონალი ზმით, კეთილსინდისიერებით, გულისხმიერებით, ადამიანური სითბოთი და ღირსებით საცხე ქალბატონი გამოაკლდა. მისი სახელი არასდროს მიეცემა დავინყებას კოლეგებისთვის.

მარადიული ნათელი მის სულს.

თსუ-ის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

ღუმიშხან ტურაბაიძის სოვნა



ინსტიტუტის ლაქტონების ლაბორატორიის გამგედ (1969-1993 წ.წ.). სამედიცინო საქმიანობას უთავსებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაცეპტული მეცნიერებათა სამედიცინო ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს წევრად მდივნის თანამდებობას, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაცეპტული მეცნიერების ინსტიტუტის ლიბიდების და ანტრაქინონების მიმართულების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას (2006-2018 წ.წ.); იყო სამედიცინო საბჭოს თავმჯდომარე (2016-2018 წ.წ.).

ღუმიშხან ტურაბაიძის კვლევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოში მოზარდი და კულტივირებული მცენარეების შესწავლა ლიბიდების და ანტრაქინონების მიმართულებით. ბატონი ღუმიშხანის საქმიანობა ყოველთვის იყო თანმიმდევრული, გააზრებული და, თანამოაზრეთა გუნდთან ერთად, – დაუღალავ შრომით დაფუძნებული. ჩართული იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის სასწავლო პროცესში. თეორიული და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე მის მიერ შემუშავდა ფსორიაზის სამკურნალო საშუალება – „ფსორანტონი“ და „ფსორანტონ C“ და მიღებული აქვს საავტორო მოწმობა.

ბატონ ღუმიშხანს ღირსეული ადგილი ეკავა ქართულ სამედიცინო საზოგადოებაში; აქტიურად იყო ჩართული ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევებში; მისი ავტორობით გამოქვეყნებულია 100-ზე მეტი სამედიცინო ნაშრომი, მონაწილეობდა არაერთ სამედიცინო კონფერენციასა და ფორუმში.

ბატონი ღუმიშხან ტურაბაიძის მალალი მოქალაქეობრივი მრწამსი, გამორჩეული კაცთმოყვარეობა, საქმისადმი ერთგულად და პროფესიონალიზმი ნამდვილად დარჩება ფარმაციის დარგში მოღვაწე ადამიანთა სხოვნაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაცეპტული ინსტიტუტი



ჰოკაღური ანსამბლი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით და მრავალფეროვანი შემოქმედებითი ცხოვრებით გამოირჩეული უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელია, სადაც, ტრადიციულად, ნიჭიერ სტუდენტებს ხელოვნების სხვადასხვა სფეროში საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საუკეთესო საშუალება ეძლევათ – კლასიკური მუსიკა, ქართული ხალხური სიმღერა და ცეკვა, თანამედროვე და სამედიცინო ცეკვები, თეატრი... კულტურის ცენტრის სხვადასხვა სახელოვნებო ჯგუფში გაერთიანებული სტუდენტებიც ხშირად ანებივრებენ გულშემატკივრებს უნივერსიადებზე, სტუდენტურ დღეებზე, ფესტივალებსა თუ კონცერტებზე მიღწეული ნარმატებებით. მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის კიდევ უფრო განვითარებისთვის, კულტურის ცენტრის დირექტორის, ბატონი ბადრი მაჭავარიანის ძალისხმევით, ბევრი კეთდება დღესაც. ამჯერად ვოკალური ანსამბლის შესახებ ვიხილავთ, რომლის არსებობასაც უნივერსიტეტში დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა მისი აღდგენა სწორედ ბატონი ბადრის ინიციატივით მოხდა. ამჟამად (2022 წლის ოქტომბრიდან) ანსამბლის ხელმძღვანელია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული, სპეციალიზირებული დირიჟორი, მარიამ არველაძე. ანსამბლი პირველად მსმენელის წინაშე სექტემბერში, სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავ ცერემონიაზე წარდგა, შემდეგ, უკვე ახალი პროგრამით – 22 დეკემბერს, უნივერსიტეტის თეატრალურ დარბაზში. ოვაციები ცხადყოფდა, რომ დებიუტი შედგა და ანსამბლმა მოწონება დაიმსახურა. ბატონი ბადრი და ქალბატონი მარიამი სიამოვნებით გვესაუბრნენ ანსამბლზე, სტუდენტების მუსიკისადმი განსაკუთრებულ სიყვარულზე, მომავლის გეგმებზე...

ბადრი მაჭავარიანი, კულტურის ცენტრის დირექტორი: სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ჯერ

კიდევ მრავალი წლის წინ, არსებობდა არა მხოლოდ ვოკალური ანსამბლი, არამედ – ჯაზ-ორკესტრიც, რომელიც, პირველად საქართველოში, სწორედ თსუ-ში (მაშინ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი) შეიქმნა გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს (ხელმძღვანელი – ექიმი **შოთა არაყიშვილი**). ამის შესახებ ყველასთვის საყვარელი მომღერალი და მსახიობი, **ბუბა კიკაბიძე**, ერთ-ერთ ტელეკომპანიაში სტუმრობისას აღნიშნავდა. ექიმები იყვნენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერის და ბალეტის თეატრის სოლისტები, ასევე, ანსამბლ „სუხიშვილების“ მოცეკვავეები, გარდა ამისა, – მწერლები, პოეტები, მთარგმნელები, მსახიობები, მხატვრები... არაერთ ექიმს პროფესიული განათლება აქვს მიღებული ხელოვნების ამა თუ იმ სფეროში; გასული საუკუნის 70-იან წლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში არსებობდა იმ დროს ძალიან პოპულარული სტუდენტური საესტრადო ანსამბლები: „სტატუს-კვო“, „როკ-რაუნდი“, „P. S.“; დიდი პოპულარობით სარგებლობდა სტომატოლოგიის ფაკულტეტის ანსამბლი – „დენსი“, ფარმაციის ფაკულტეტის გოგონათა კვარტეტი... ასევე, პედაგოგების არაჩვეულებრივი კვარტეტი... მოგვიანებით სამედიცინო უნივერსიტეტში ყალიბდება ანსამბლი „სოფტ ეჯექტი“ (ხელმძღვანელი თსსუ-ის სტუდენტი, პედიატრი – **მურმან ბუჯა**) **კარტოზია**). მოკლედ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მდიდარი მუსიკალური ტრადიციებითაც გამოირჩეული უმაღლესი სასწავლებელია და, ცხადია, ტრადიცია გრძელდება დღესაც. 2015 წელს კულტურის ცენტრში შეიქმნა საესტრადო ჯგუფი, რომელიც წარმატებით მონაწილეობდა კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ ყველა კონცერტში (ხელმძღვანელი – ცნობილი მუსიკოსი **თამარ არჩვაძე**). ჯგუფმა შეასრულა და ჩანერა თს-

სტუდენტების და თანამედროვეობის სინთეზით

სუ-ის ჰიმნი (ტექსტის და მუსიკის ავტორი – თსსუ-ის პროფესორი **კახაბერ ქელიძე**); 2021 წლის 20 დეკემბერს ჩამოყალიბდა ვოკალური ანსამბლი (ხელმძღვანელი – ცნობილი მუსიკოსი **ლევან ჩხაიძე**). ამჟამად არსებული ვოკალური ანსამბლი კი 2022 წლის სექტემბერში დაარსდა. ჩვენი სურვილია, ეს იყოს არა საესტრადო ანსამბლი, არამედ – აკაპელა. მე გახლდით ინიციატორი ვოკალური ანსამბლის შექმნის, მაგრამ ინიციატივა, მოგეხსენებათ, ინიციატივად დარჩება, თუკი არ არის მისი განხორციელების შესაძლებლობა. საინტერესო და საჭირო ინიციატივების და იდეების ხორცშესხმა კი ყოველთვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, კერძოდ, რექტორის და კანცლერის, პროფესორების: **ზურაბ ვადაჭკორიას** და **ზურაბ ორჯონიკიძის** მხარდაჭერით ხდება. ასე იყო ამ შემთხვევაშიც, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ. აღსანიშნავია უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური ჩართულობაც მუსიკით დაინტერესებული სტუდენტების მოზიდვაში. სასიხარულოა, რომ ანსამბლი უკვე მუშაობს საინტერესო რეპერტუარზე ქალბატონი მარიამის ხელმძღვანელობით, რომელიც, დარწმუნებული ვარ, წარმატებით უხელმძღვანელებს მას.

მარიამ არველაძე, ვოკალური ანსამბლის ხელმძღვანელი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრებულია დღემდე გარდაბნის სამუსიკო სკოლის დირექტორი და პედაგოგია, გარდა ამისა, დაარსებიდანვე (2006 წ.) ანსამბლ „თუთარჩელას“ ქალთა ფოლკლორულ ანსამბლში მღერის. ერთი საინტერესო ეპიზოდი მარიამის ბიოგრაფიიდან: კონსერვატორიიდან შერჩეული ორი სტუდენტიდან, რომლებმაც, 2003 წელს, ავსტრალიაში ჩატარებულ რაგბის მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნული ჰიმნი შეასრულეს, ერთ-ერთი მარიამი გახლდათ.

„დატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო, ვფიქრობდი, რომ გამიჭირდებოდა, რადგან განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობაა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ასეთი მნიშვნელოვანი საქმიანობა, მაგრამ, სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ძალიან შემეყვარდა უნივერსიტეტი, ეს არაჩვეულებრივი სტუდენტები, რომლებიც ასე უყვართ მუსიკა და, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, უნიჭიერები არიან.

მუსიკალური ნიჭით გამოირჩეული სტუდენტები კასტინგით შეირჩა. დარწმუნებული ვარ, რომ ანსამბლის ვოკალური მონაცემების ახალგაზრდები, რომლებთან მუშაობაც სასიამოვნო და ნაყოფიერია. გვაქვს მრავალფეროვანი რეპერტუარი, რომელიც მოიცავს თითქმის ყველა მუსიკალურ ჟანრს – ვასრულებთ როგორც კლასიკურ ნაწარმოებს (ქართულს და უცხოურს), ასევე – ჯაზს, როკენროლს, ბლუზს, ქართულ ქალაქურ მელოდიებს, საესტრადო სიმღერებს... რეპერტუარშია რეგულარული ბიძინა კვერცხის, ინოლა გურგულიას და თითქმის ყველა ცნობილი ქართველი კომპოზიტორის სიმღერები. ვფიქრობ, გაცილებით საინტერესო და ეფექტურია მრავალხმიანი სიმღერებზე მუშაობა, თუმცა გვაქვს სოლო საკონცერტო ნომრებიც. აღსანიშნავია, რომ ანსამბლში, გარდა ქართველი სტუდენტებისა, ჩართულია საერთაშორისო სტუდენტებიც – **ჯანადი ასინსპანი კარავიტა**.

ანსამბლის ე. წ. ბირთვს 7 გოგონა ქმნის, რომლებიც, ნიჭიერებასთან ერთად, შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან. ვფიქრობ, თანდათან „გავფართოვდებით“, რადგან ანსამბლს ემატებიან მუსიკის მოყვარული ახალგაზრდები და სურვილი გვაქვს, ჩამოვყალიბოთ ბენდი, სადაც სტუდენტები, სხვადასხვა ინსტრუმენტზე (ვიოლინო, გიტარა, საქსოფონი, დასარტყამი ინსტრუმენტი), შეასრულებენ მუსიკალურ ნაწარმოებს. უკვე არიან მსურველები და, სამომავლოდ, ვფიქრობ, ამ მიმართულებითაც ვიმუშავებთ“, – აღნიშნა ანსამბლის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მარიამ არველაძემ.

თაია ზვიადური, სტომატოლოგიის ფაკულტეტის მე-4 სემესტრის სტუდენტი: „ორი წელია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ და, მუსიკისადმი ჩემი დიდი სიყვარულის გამო, ვოკალური ანსამბლის შექმნისთანავე გავხივდი მისი ერთ-ერთი წევრი. ანსამბლის ხელმძღვანელთან, ქალბატონ მარიამ არველაძესთან, 14-წლიანი შემოქმედებითი ურთიერთობა მკაცრად არის – ჯერ კიდევ სკოლამდელი ასაკიდან გახლდათ ჩემი პირველი მუსიკის პედაგოგი. გეტყვით, რომ დიდაა ჩემი

თანატოლების სიყვარული მუსიკისადმი, თუმცა 20 სტუდენტიდან 7 შემოვრჩით ანსამბლს – შესაბამისი ვოკალური მონაცემებით და მუსიკისადმი განსაკუთრებული სიყვარულით. სიამოვნებით ვიტყვი სტუდენტობის პერიოდზეც: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი სკოლისგან სრულიად განსხვავებული აკადემიური სივრცეა. ჩემი ბავშვობის სურვილი იყო, რომ სწორედ ამ უნივერსიტეტის სტუდენტი გავმდინარეყავი. დღეს იგი ჩემი სახლია და ბედნიერი ვარ, რომ, სტუდენტობის პარალელურად, შესაძლებლობა მაქვს, მუსიკასაც დაეუთმო დრო“.

როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა გვითხრა, მალე ვოკალური ანსამბლი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოს ბავშვთა და ახალ-



ჯანადი ასინსპანი კარავიტა



ბიძინა კვერცხის



ანსამბლი „სოფტ ეჯექტი“

გაზრდილი საგუნდო კოლექტივების მე-7 ეროვნულ კონკურსზე წარდგება. ეს ძალიან მაღალი დონის საგუნდო მუსიკის კონკურსია, სადაც მონაწილეობაც მნიშვნელოვანია ნებისმიერი ვოკალური ანსამბლისთვის.

ანსამბლის წევრები ძალიან მოტივირებულნი და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულები არიან – მათ ხომ მუსიკის და უნივერსიტეტის დიდი სიყვარული აერთიანებთ. სიყვარული კი საუკეთესო მოკავშირე და ნებისმიერ საქმიანობაში წარმატების საწინდარია.

ნატო ბოლქვაძე

სტუდენტები მადრიდში, ნაიფსა და შაშუში

20-21 მარტს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის დეპარტამენტის ინიციატივით, ჩატარდა ტურნირები ქაღრაკში, ნარდსა და შაშუში.

სპორტის სამივე სახეობაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ქაღრაკში I, II, III ადგილები მოიპოვეს: Abishek Harikumar, გიორგი საბაშვილი და ალექსანდრე ჯღამაძე.

ნარდში გაიმარჯვეს: მარი მელაშვილი (I ადგილი), Diana Albiss (II ადგილი), ნინო კალატოზა (III ადგილი); შაშუში გამართულ ტურნირში მონაწილეთა შორის ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: ალექსანდრე ჩიქოვანი (I ადგილი), მამუკა სიღამონიძე (II ადგილი), ალექსანდრე ჯღამაძე (III ადგილი).



„კინომანია“ – საინფორმაციო უნივერსიტეტის ახალგაზრდებისთვის

27 მარტს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ინიციატივით ჩატარდა გასართობი აქტივობა: „კინომანია“, რომელიც სტუდენტების დიდი დაინტერესებით და ჩართულობით წარმართა.

შეჯიბრი ეტაპობრივად, დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა და გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. პირველ ადგილზე გავიდა გუნდი – „fine“ (მარიამ ზეკელაშვილი, სალომე მიქაძე); მეორე ადგილი დაიკავა გუნდმა: – „გარინჩას თხა“ (საბა გურგენიძე, მარიამ ნიკოლაური); მესამე ადგილი – გუნდმა – „კადრი“ (ლევან აბულაძე, შამილ შავგულიძე).

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა ულოცავს გამარჯვებულებს და წარმატებებს უსურვებს.



პაატარიანი შაშუში, ალექსანდრე ჯღამაძის VIII ადგილის სტუდენტი, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელი, EMSA-თბილისის პრეზიდენტი